

**„ყაზბეგის რეგიონის მაკრომიცეტები:
მრავალფეროვნება და ტრადიციული გამოყენება“**

ანრი არაბიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე
ბუნებათსარგებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

სიცოცხლის შემსაწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ბაცაცაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ანგელინა ჯორჯაძე, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის
სპოროვანი მცენარეებისა და სოკოების
განყოფილების გამგე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანრი არაბიძე 30.05.2016“

სარჩევი

განაცხადი.....	II
აბსტრაქტი.....	IV
შესავალი	1
1. ლიტერატურის მიმოხილვა	3
2. საკვლევია რე	5
2.1 გეოგრაფიული მდებარეობა.....	5
2.2. ადმინისტრაციული დაყოფა.....	6
2.3. კლიმატი.....	6
2.4. მცენარეული საფარი.....	7
3. მეთოდები	9
1. მიკოლოგიური კვლევა.....	9
1. 1. საკვლევი უბნების შერჩევა და სტრუქტურირება.....	9
1. 2. საკვლევ უბნებზე მასალისა და მონაცემების შეგროვების პროცედურა.....	10
1. 3. სახეობათა იდენტიფიკაცია.....	11
1. 4. მონაცემთა ანალიზი	12
1. 5. ეთნომიკოლოგიური კვლევა.....	12
4. შედეგები და დისკუსია.....	13
4.1 მაკრომიცეტები.....	13
4.2 ეთნობიოლოგიური კვლევის შედეგები	16
ახალი სახეობები.....	22
დისკუსია.....	23
მადლობა	26
ბიბლიოგრაფია:.....	27

აბსტრაქტი

ყაზბეგის რეგიონი მიკოლოგიურად ნაკლებად შესწავილ მხარეს მიეკუთვნება. აღნიშნული კვლევის მიზანია მიკოლოგიურად მცირედ შესწავლილი ყაზბეგის რეგიონის მაკრო-სოკოთა მრავალფეროვნების გამოვლენა და ადგილობრივ მოსახლეობაში შემონახული ეთნომიკოლოგიური ცოდნის ანალიზი. საკვლევ ობიექტებს წარმოადგენს სოკოების ორ კლასი: ასკომიცეტები და ბაზიდიომიცეტები. მრავალფეროვნების შესასწავლად შეირჩა, ისეთი ჰაბიტატები, რომლებიც ძირითად ლანდშაფტს ქმნიან ყაზბეგის რეგიონში. ამ ტიპის ჰაბიტატებს მიეკუთვნება არყნარის, ფიჭვნარისა და მალაღმთის მდელოს ტიპის ჰაბიტატები, სადაც გაკეთდა ტრანსექტები, რათა სტატისტიკურად გაგვეანალიზებინა და დაგვედგინა ჰაბიტატებში მაკრომიცეტების სახეობრივი მრავალფეროვნება. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყაზბეგის რეგიონში მაკრომიცეტების სახეობრივი მრავალფეროვნება წარმოდგენილია არყნარისა და ფიჭვნარი ტყის ტიპის ჰაბიტატებში, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სახეობრივი შემადგენლობით და მხოლოდ 3 სახეობა აღმოჩნდა საერთო ამ ორი ჰაბიტატისათვის: *Lycoperdon perlatum*, *Marasmius rotula* და *Russula emetica*. ასევე იდენტიფიცირდა, ორი ახალი სახეობა საქართველოსთვის *Marasmius curreyi* და *Hypomyces viridis*. 2015 წლის ზაფხულს მდელოს ეკოსისტემაში სახეობრივი მრავალფეროვნება არ იყო წარმოდგენილი. ეთნობიოლოგიური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყაზბეგის რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის, მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს სოკოებს, რომელთა ძირითადი დანიშნულება საკვებად გამოყენებაა.